ტექსტის გაფორმების კრიტერიუმი

აღწერის ფაილი (ქართულენოვანი გამოცემის შემთხვევაში)

1. ფაილის აღწერა

სახელწოდება:
ფაილის ავტორი (სახელი, გვარი):
წამყვანი ორგანიზაცია:
ცენტრი:
პასუხისმგებელი პირი (სახელი, გვარი):
პასუხისმგებელი პირის მოვალეობა:
ფაილის ზომა (კბ-ში):
აბზაცების რაოდენობა[1]:
სიტყვების რაოდენობა:

2. გამოცემის აღწერა

გამომცემელი:
გამოცემის ადგილი:
გამოცემის თარიღი:
ტომების (ნომრების) რაოდენობა:
ISBN (ISSN):
გავრცელება (საავტორო უფლება):
განმანაწილებელი (ტექსტის გამავრცელებელი):
უფლებამოსილი ორგანიზაცია:

3. შენიშვნები

რედაქტორი:
ილუსტრატორი (შიდა ილუსტრატორი, გარეკანი):
სხვა:

[1] პოეტური ნაწარმოების შემთხვევაში სტროფების რაოდენობა

4. ამოსავალი ტექსტის ბიბლიოგრაფიული მონაცემები

სათაური:
ავტორი (სახელი, გვარი):
მთარგმნელი:
გვერდები:
გამომცემელი:
გამოცემის ადგილი:
გამოცემის თარიღი:
ტექსტის შექმნის თარიღი:
ტექსტის შექმნის ადგილი:
ტექსტის ფორმატი: წერითი
დამატებითი ინფორმაცია (რომელი ენიდან არის ნათარგმნი):

5. კოდირება

პროექტის სახელწოდება, წელი:
ფაილის შექმნის თარიღი:
ფაილის შექმნის ადგილი:
ფაილის ენა:
ტერმინოლოგიური განსაზღვრა: [მხატვრული / არამხატვრული ტექსტი][1]
ჟანრი / ფუნქციონალობა:
ტიპი:

6. შემოწმება/ცვლილება

თარიღი:
სახელი, გვარი:

[1] მხატვრული ტექსტის შემთხვევაში იგულისხმება 1. ჟანრი: პროზა, დეტექტივი, საბავშვო, ისტორიული პროზა, თავგადასავალი, ფანტასტიკა, სასიყვარულო ისტორია, იუმორი და სატირა, დოკუმენტური პროზა, დრამატურგია; 2. ტიპი: იგავი, გამოცანა, ჩანაწერი, ლეგენდა, წერილი, თხზულება, პიესა, მოთხრობა, რომანი, ზღაპარი; არამხატვრული ტექსტის შემთხვევაში იგულისხმება: 1. ფუნქციონალობა: საყოფაცხოვრებო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტიკა, რეკლამა, სასწავლო-სამეცნიერო, საეკლესიო

ფაილის გაწმენდა

თუ წიგნის დასაწყისში გვხვდება სარჩევი, შინაარსი და ა.შ. აუცილებლად კვადრატულ ფრჩხილებში უნდა მიეთითოს [სარჩევი], [შინაარსი] და ა.შ.; ანალოგიურად, თუ წიგნს მოჰყვება ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურის სია, ინტერნეტ-რესურსები, ინდექსი და ა.შ. აუცილებლად კვადრატულ ფრჩხილებში უნდა მიეთითოს [ბიბლიოგრაფია], [გამოყენებული ლიტერატურის სია], [ინტერნეტ-რესურსები], [ინდექსი].

როდესაც კვადრატულ ფრჩხილებში ისმევა ბიბლიოგრაფია, რეზიუმე, ინდექსი და ა.შ. გვერდები აუცილებლად უნდა მიეთითოს, მაგ.:

^86

[გამოყენებული ლიტერატურა]

^87

[დამხმარე ლიტერატურა]

^88 – ^89

[ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ]

^90 – ^98

[ინგლისური რეზიუმე]

ფაილის გაწმენდა

როდესაც საუბარი გვაქვს სარჩევზე ან სხვა ინფორმაციაზე, რომელიც შემდეგ გვერდებზე გრძელდება, და რომლის მითითება კვადრატულ ფრჩხილებში ხდება, გვერდები უნდა მიეთითოს ტირეთი. მაგ.:

^3 – ^5

[სარჩევი]

ეს წესი არ ვრცელდება ცხრილებზე იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე ცხრილია მოცემული და სხვადასხვა გვერდზეა. თუ ერთი ცხრილია და სხვა გვერდებზე გადადის, მაშინ აქაც ერთიანად უნდა მიეთითოს, მაგალითად,

^3 – ^5

[ცხრილი],

მაგრამ თუ სხვადასხვა ცხრილია, მაშინ სათითაოდ უნდა მიეთითოს, მაგალითად,

^3

[ცხრილი]

^4

[ცხრილი]

^5

[ცხრილი].

ფაილის გაწმენდა

თუ წინადადება ერთ გვერდზე არ მთავრდება, მეორე გვერდის ნომრის დასმამდე, წინადადება უნდა დავასრულოთ. წინადადებას ან ერთ გვერდზე ვტოვებთ ან მეორეზე მთლიანად გადაგვაქვს. სასურველია წინადადება იმ გვერდზე დარჩეს, სადაც წიგნში წინადადების უფრო დიდი ნაწილი გვხვდება


შესაძლებელი, ხოლო აისბერგის 90 % წყალშია დამა-
ლული. აისბერგის მსგავსად, კულტურის ყველაზე ში-
ნაარსობრივი ნაწილია შეუმჩნეველი და მას კულტურის

4

სუბიექტურ ნაწილს უწოდებენ, ხოლო ხილულ ნაწილს
– ობიექტურს.

<u>ფაილის გაწმენდა</u>

თუ ტექსტში ორი სათაური მოჰყვება ერთი მეორეს, მაგალითად,

თემა 2. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა როგორც გარდამავალი ხანის ეკონომიკის ფენომენი

მაკროეკონომიკური არასტაბილურობა – გარდამავალი ხანის ეკონომიკის კანონზომიერი მოვლენა

მეორე სათაურიც აუცილებლად უნდა გამოიყოს tab-ით; თუ სათაური ერთ სტრიქონზე არ ეტევა, მეორე სტრიქონზე გადასვლისას, tab-ით შეწევა აღარ არის საჭირო.

ფაილის გაწმენდა

ინფორმაცია, რომელიც აღწერის ფაილებს ისედაც მოჰყვება: ავტორის სახელი და გვარი, მთარგმნელი, გამოცემის წელი და ა. შ. ტექსტში არ უნდა იყოს და ყველგან ამოსაღებია.

ერთადერთი პერიოდული გამოცემების – გაზეთების შემთხვევაში, როდესაც ხდება გაზეთის ერთი ნომრის ერთიანი დამუშავება, ტექსტში, რომელიც სხვადასხვა სტატიას შეიცავს, სტატიის ბოლოს უნდა დარჩეს ავტორის სახელი, ტექსტის შექმნის თარიღი და ა.შ. ხოლო აღწერის ფაილში ავტორის გრაფას ცარიელს ვტოვებთ.

სხვა პერიოდული გამოცემების – ჟურნალების შემთხვევაში (მაგალითად, სალიტერატურო ჟურნალის ივერიის) დამუშავებისას, თითოეული სტატიის ცალკე დამუშავება ხდება. და თითოეულ სტატიას თავისი აღწერის ფაილი უნდა ჰქონდეს. მაშინ ტექსტში ინფორმაცია ავტორის სახელისა თუ ტექსტის შექმნის თარიღის შესახებ არ უნდა იყოს.

<u>სქოლიო</u>

სქოლიოები შემდეგნაირად უნდა ჩაისვას: 1. ტექსტში გვხვდება ნომერი; 2. გვერდის ბოლოს ამ ნომრის განმარტება. ტექსტიდან უნდა ამოიშალოს ნომერიც (1) და ნომრის გაფორმებაც (2). ნომრის (1) ადგილას უნდა ჩაისვას კვადრატული ფრჩხილები მითითებით სქოლიო (შემდეგნაირად: [სქოლიო]). თუ სქოლიოს ახლავს ძალიან დიდი ტექსტური განმარტება, მაშინ ნომრის (1) ადგილას უნდა ჩაისვას კვადრატული ფრჩხილები აღნიშნული ტექსტური განმარტებით. როდესაც სქოლიო ხაზის შუაშია ან წინადადების შუაში, [სქოლიოს] ჩაწერისას მას პირდაპირ უნდა მიებას ტექსტი. სქოლიოს და სიტყვას შორის უნდა იყოს ინტერვალი, მაგ.: *მოჰყვებოდა [სქოლიო]*. თუ სქოლიოს ნიშნის შემდეგ იმავე ხაზზე ტექსტი გრძელდება, მაშინ ტექსტი ახალი სტრიქონიდან კი არ უნდა დაიწყოს, არამედ უნდა გაგრძელდეს.

თუ სქოლიო, ციტატა ან შენიშვნა შეიცავს ბიბლიოგრაფიული ან ენციკლოპედიური ხასიათის მონაცემებს, ან იხ.-თი ხდება სურათის, სქემის, წიგნის, საიტის და ა. შ. მითითება, მაშინ ასეთ სქოლიოს არ ვწერთ, ვწერთ მხოლოდ კვადრატულ ფრჩიხლებში [სქოლიო], [ციტატა], [შენიშვნა] და ა.შ. თუ სქოლიო, ციტატა ან შენიშვნა არ შეიცავს ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციას და მასში სიტყვების რაოდენობა აღემატება 10 სიტყვას, მაშინ ეს არის დიდი ტექსტური განმარტება, რომელიც უნდა ჩაიწეროს სქოლიოს მითითების ადგილას კვადრატულ ფრჩხილებში.

ანალოგიურად უნდა გაფორმდეს ცხრილებიც. თუ წიგნში მოცემულია ცხრილის ნომერი, მაშინ კვადრატულ ფრჩხილებში ეს ნომერიც უნდა ჩაიწეროს, მაგალითად, [ცხრილი 1.1.]

პუნქტუაციის ნიშნები

პუნქტუაციის ნიშნებსა და წინა სიტყვას შორის არ უნდა იყოს ინტერვალი, ხოლო პუნქტუაციის ნიშნებსა და მომდევნო სიტყვას შორის უნდა იყოს. ინტერვალი ასევე უნდა იყოს ციფრსა და შემოკლებას შორის, მაგალითად, 1 სმ.

დეფისი და ტირე

დეფისი - მოკლე ხაზია (ერთი ასოს სიგანის), რომელიც, მაგალითად, რთული სიტყვების დაწერილობისას გვხვდება (დედ-მამა), ხოლო ტირე ორი დეფისისხელა ხაზი, რომელიც, მაგალითად, დიალოგებში (– ოჰ, შვილო...) გამოიყენება. ხშირად როდესაც დიდი ტირე ისმევა, ის ძალიან დიდი გამოდის, (— ნათელა! — დაუძახა ქვრივმა პატარა ქალს). შეიძლება, ასევე ქვედა ტირე (_) შეგვხვდეს, რაც შესაცვლელი იქნება. ანუ, უნდა გვქონდეს დეფისი რთული სიტყვების, თავსართ-ბოლოსართების, ან ნაწილაკების დართვისას, ტირე დიალოგებში, წინადადების რომელიმე წევრის გამოტოვებისას ან განკერძოებული სიტყვების გამოყოფისას. ანუ თუ ელექტრონულ ვერსიაში გვაქვს სადმე დეფისი ტირეს ადგილას (რაც არც თუ ისე იშვიათია), ან დიდი ტირე ის პატარა ტირეთი იქნება შესაცვლელი, მაგრამ არა დეფისით.

ტირე, დეფისისგან განსხვავებით, თითო ინტერვალით უნდა დასცილდეს წინა და მომდევნო სიტყვას.

გადატანის ნიშნები ყველგან უნდა მოიხსნას!!!

ბრჭყალები

„ “ – ბრჭყალები ქართული ტექსტისთვის;
" " – ბრჭყალები ინგლისური ტექსტისთვის;
« » – ბრჭყალები რუსული და ბერძნული ტექსტისთვის;

ბრჭყალებს და შიგნით ჩაწერილ სიტყვას შორის ინტერვალი არ უნდა იყოს.

ტექსტის ტექნიკური დამუშავება

დაშორებები არ უნდა იყოს: Paragraph – Spacing – before -0 pt, after -0 pt, line spacing – single.

წინადადება უნდა იწყებოდეს კიდიდან, და არ უნდა იყოს შეწეული.

ასევე არსად არ უნდა იყოს Enter-ით დაშორება და სიტყვებს შორის ერთზე მეტი ინტერვალი.

tab-ი უნდა იყოს დაყენებული 1 სმ.-ზე.

გვერდის პარამეტრები: top – 2cm, bottom – 2cm, left – 3cm, right – 2cm.

ფაილის სახელწოდებაში არ უნდა იყოს ბრჭყალები, ფაილის სახელწოდება უნდა იყოს ინგლისური ასოებით.

<u>აღწერის ფაილში ყურადღება უნდა მიექცეს:</u>

1. თუ წიგნი ნათარგმნია, მთარგმნელის გარდა, გრაფაში: *დამატებითი ინფორმაცია (რომელი ენიდან არის ნათარგმნი):* აუცილებლად უნდა მიეთითოს რომელი ენიდან არის ნათარგმნი ესა თუ ის წიგნი (თუ, რა თქმა უნდა, წიგნში ეს ინფორმაცია მოცემულია);
2. ტერმინოლოგიურ განსაზღვრაში, აუცილებლად მისათითებელია ჟანრი და თემატიკა; (დამატებით იხ. ჟანრების ჩამონათვალი);
3. პროექტის სახელწოდება დაიწერება იმისდა მიხედვით, თუ რაზე იმუშავებს ესა თუ ის პიროვნება;
4. ტექსტის გვერდები უნდა მიეთითოს სრულად, სარჩევის, გამოყენებული ლიტერატურის, დამხმარე ლიტერატურის, ბიბლიოგრაფიის, რეზიუმეს და ა.შ. ჩათვლით;
5. ამოსავალი ტექსტის ბიბლიოგრაფიულ მონაცემებში სათაური უნდა იყოს მითითებული სრულად და არა შემოკლებულად, ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის გარეშე;

აღწერის ფაილში ყურადღება უნდა მიექცეს:

6. თუ ტექსტის შექმნის თარიღი ცნობილია, ის აუცილებლად უნდა ჩაიწეროს სათანადო გრაფაში;
7. ფაილის ავტორი და ფაილზე პასუხისმგებელი პირი შეიძლება იყოს სხვადასხვა, ავტორში იგულისხმება ის, ვინც აკრიფა ან შექმნა (ინტერნეტ ვერსიის შემთხვევაში) ესა თუ ის ფაილი, ხოლო პასუხისმგებელი პირი არის ის, ვინც დაამუშავა ფაილი ინსტრუქციის შესაბამისად; ზოგჯერ ფაილის ავტორი და ფაილზე პასუხისმგებელი პირი ერთი და იგივეა; ზოგჯერ ფაილის ავტორი უცნობია, მაშინ ამ გრაფას ცარიელს ვტოვებთ;
8. შემოწმებასა და ცვლილებებში იწერება იმ ადამიანის სახელი და გვარი, რომელმაც შეამოწმა ფაილი და თარიღი, როდის შეიტანა ესა თუ ის ცვლილება;
9. სამეცნიერო სტატიების კრებულის სათაური, აუცილებლად, იმ გრაფაში ჩასაწერია, სადაც მითითებულია სტატიის სათაური, ანუ ამოსავალი ტექსტის ბიბლიოგრაფიულ მონაცემებში. შესაბამისად, სტატიის სათაურის შემდეგ მისათითებელია კრებულის სათაური. სტატიისა და კრებულის სათაურები მძიმეთი უნდა გამოიყოს. მაგალითად, სათაური: საერო მწერლობის ძეგლთა ენის სინტაქსის ზოგიერთი საკითხი, იკე (ან ვრცლად იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება).

Dr. Svetlana Berikashvili

Center of Linguistic Research, Ilia State University
32 Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia

E-mail: svetlana.berikashvili@iliauni.edu.ge
Web-Site: http://www.iliauni.edu.ge